შ.პ.ს.
„კოლხა-07“
საქართველო. თბილისი.
ვაშლიჯვარი, 4-ბ
ტელ. (+995) 599 02 50 65

KOLKHA-07

L.T.D.
KOLKHA-07
4-b Vashlijvari
Tbilisi. Georgia
Tel. (+995) 599 02 50 65

№ 206/46

„8 ნოემბერი 2016წ.“

# ტექნიკური დასკვნა

## ქ. თბილისი, შატბერაშვილის ხევი №17; №23; №23-ში არსებული შენობა-ნაგებობების

### მდგრადობის შესახებ

შ.პ.ს. „კოლხა-07“-ს სპეციალისტების მიერ შესწავლილ იქნა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობა.

შატბერაშვილის ხევი №17 საპროექტო ტერიტორიას (ს/კ: 01.14.11.060.045) ესაზღვრება შენობა-ნაგებობებით №2/1-ით და №1/1-ით. შატბერაშვილის ხევი №23 ესაზღვრება შენობა-ნაგებობებით №4/1; №2/1; და №3/1, შატბერაშვილის ხევი №23 შენობა-ნაგებობებით №3/1 და №2/1.

მოგახსენებთ რომ შენობა-ნაგებობები აშენებულია წვრილი საკედლე ბლოკით და აგურით, აღნიშულ შენობა-ნაგებობებს არ არენიშნება ბზარები არც ვერტიკალური და არც ჰორიზონტალური, კარ-ფანჯრების ღიობები კარგ მდგომარეობაშია. მიუხედავად იმისა რომ საპროექტო ქვაბული ამორებულია 2004 წელს და 12 წელი იმყოფება ასსეთ მდგომარეობაში. რაც იმაზე მეტყველებს რომ გრუნტი არ ჩამოშლილა. საპროექტოდ ამოღებული ქვაბული გამაგრებულია მეტალის დგარებით და ხის ძელებით, ქვაბული ორი მხრიდან ბოლომდეა ამოღებული ხოლო ორი კუთხე და ცენტრალური ნაწილი ზოგან ამოსაწმენდია, ზოგან კი ამოსაღებია დაახლოებით 1,5მ. სიმაღლეზე და კუთხეებში 2-3მ-ის სიგანით. ქვაბულის ქანები ნორმალურ მგომარეობაშია გამაგრებულია ქვაბულის მხარე, რომლის გასწვრივ გადის შატბერაშვილის ქუჩა, გასამაგრებელია მოკლე მონაკვეთი. უვანიას ქუჩის მხარეს ქვემოდან დაახლოებით 3 მეტრშია ქვაბულის პირი, სადაც კარგად ჩანს კლდოვანი ქანები, ქვაბულის ძირითადი კლდოვანი მასა ამოღებულია და მისი დამთავრება შესაძლებელია.

# დასკვნა

შ.პ.ს. „**კოლხა-07**“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური დათვალიერების და შესწავლის შედეგად ვადგენთ:

შესაძლებელია ქ. თბილისში, ქუჩა შატვერაშვილის ხევი №19-21 (ნაკვეთ №60/45)-ში დასრულდეს ქვაბულის ამოღების სამუშაოები, ამოიწმინდოს იქ არსებული გრუნტის მასა, მოიჭრას ქვაბულის ცენტრალურ ნაწილში კლდოვანი ქანი სამტვრევი სპეცტექნიკით ე.წ. “კოდალას“ მეშვეობით, ასევე მოიჭრას კლდოვანი ქანის ნარჩენები ქვაბულის კუთხეებში, შატბერაშვილის ხევის №17 და №23-ის მომიჯნავედ. სამუშაოები ქვაბულის კუთხეებში განხორციელდეს ფრთხილად სამტვრევი სპეცტექნიკით ე.წ. “კოდალას“ დაბალი სიმძლავრით. ასეთ შემთხვევაში მომიჯნავე შენობებს საფრთხე არ ემუქრება. ასევე საფრთხე არ ემუქრება ჟვანიას ქუჩის სავალ ნაწილს რადგან იგი განლაგებულია კლდოვან ქანზე და მისი ჩაშლა ქვაბულის დასრულების დროს შეუძლებელია. ხოლო შატბერაშვილის ქუჩის მხარეს №17-ის მომიჯნავედ მშენებლობის დროს გამაგრდეს ქვაბულის კედელი.

შ.პ.ს. „**კოლხა-07**“-ის
დირექტორი: / თ. ბაღათურია /